საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/5226
16/07/2020

5226-09-2-202007161202

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების
ცენტრის პროგრამის კოორდინატორს
ვახტანგ კობალაძეს
მის: თბილისი 0177, იოველ ჯეგაშვილის I გას. 5
ელ ფოსტა: E:office@csrdg.ge

მოგახსენებთ, რომ თქვენი 2020 წლის 26 ივნისის №12560 წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა თქვენს მიერ აღებული სურსათის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგებს (რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმის აღმოჩენა - 6 ნიმუში), სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმის აღმოჩენის ლაბორატორიული კვლევისთვის (რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა რძესა და რძის პროდუქტებში) აღებული იქნა ნიმუშები:

1. რძე ,,მალკო2.5%“ დამზ.თარიღი 27.06.20 ვარგ.ვადა 03.07.20, მწარმ. შპს,,რესპუბლიკა“, ს/კ 406205592, შესყიდვის ადგილი სუპერმარკეტი ,,გუდვილი“ (მის:თბილისი, ქავთარაძის ქ№1).
2. კარაქი ნაღების 82.5% „რანინა“ დამზ.თარიღი 06.05.20 ვარგ. ვადა 06.08.2020 მწარმ. შპს,,რესპუბლიკა“, ს/კ 406205592, შესყიდვის ადგილი სუპერმარკეტი ,,გუდვილი“ (მის:თბილისი, ქავთარაძის ქ№1).
3. არაჟანი ,,ქობულეთური 25%“ დამზ.თარიღი 24.06.2020 ვარგ. ვადა 07.07.20 მწარმ.შპს,,მემა კომპანი“ ს/კ 446973963 (ყოფილი შპს ,,ქობულეთური ტრეიდინგი“) შესყიდვების ადგილი შპს,, მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ მის:თბილისი ხიზამბაურის ქ№1
4. არაჟანი ,,სოჩინსკაია 21%“ დამზ.თარიღი 07.07.2020 ვარგ. ვადა 21.07.20, მწარმ.შპს„მემა კომპანი“(ყოფილი შპს,,დვრიტა+“) მის:თბილისი, ზაჰესი, წინამძღვრიშვილის ქ. №2. ნიმუში აღებულია საწარმოდან.

5. ყველი ქართული დამზ.თარიღი 10.06.2020 ვარგ. ვადა 10.08.20, მწარმ. ი/მ,,სურენ კირაკოსიანი“(მის: ნინოწმინდა, სოფ. დილიფი) შესყ. ადგილი სს ,,ფუდ მარტი“ ქ.თბილისი, გამსახურდიას ქN 5.

ნიმუშები ლაბორატორიული კვლევისათვის გადაეცა სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია-ს (მის; ქ.თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქ N49).

ზემოაღნიშნულ ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდის შედეგებიდან გამომდინარე პროდუქტები რძის ცხიმის გარდა შეიცავს სხვა ცხიმების ნარევს, მათ შორის მცენარეულ ცხიმებს შემდეგი დასახელების რძის პროდუქტებში.

1. რძე ,,მალკო 2.5% დამზ.თარიღი 27.06.20 ვარგ. ვადა *03.07.20* შპს,,რესპუბლიკა“, ს/კ 406205592,
2. კარაქი ნაღების 82.5%,,რანინა“ დამზ.თარიღი 06.05.20 ვარგ. ვადა 06.08.2020 შპს,,რესპუბლიკა“, ს/კ 406205592,
3. არაჟანი,, ქობულეთური 25%“ დამზ.თარიღი 24.06.2020 ვარგ. ვადა 07.07.20მ წარმ.შპს,,მემა კომპანი“ ს/კ 446973963 (ყოფილი შპს ,,ქობულეთური ტრეიდინგი“)
4. ყველი ქართული დამზ.თარიღი 10.06.2020 ვარგ.ვადა10.08.20 ი/მ,,სურენ კირაკოსიანი“(მის: ნინოწმინდა, სოფ. დილიფი)

არაჟანი,,სოჩინსკაია 21%“ დამზ.თარიღი 07.07.2020 ვარგ.ვადა 21.07.20, მწარმ. შპს„მემა კომპანი“(ყოფილი შპს,,დვრიტა+“ მის: თბილისი, ზაჰესი, წინამძღვრიშვილის ქ. N2), ნიმუში არ იყო ბაზარზე განთავსებული და აღებული იქნა საწარმოდან , კვლევის შედეგები ჯერ არ არის ცნობილი ლაბორატორიის მიერ.

ყველის ნიმუში მწარმ. ი/მ ,,სამველ ჯანამიანი“ (ს/კ 32001001369, ფაქტიური მისამართი: ნინოწმინდის რაიონი, სოფ.განძა). საწარმოდან ნიმუშის აღება ვერ განხორციელდა რადგან აღნიშნულ მისამართზე ბიზნესოპერატორი ვერ მოიძებნაა და ხდება მისი შემდგომი მიკვლევადობა.

გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო კონტროლი (არაგეგმიური ინსპექტირება) განხორციელდა ზემო აღნიშნულ მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან:

შპს „მემა კომპანი“-ს საწარმოში 2020 წლის 9 ივლისს განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი (ს/კ 446973963 მის: თბილისი, ზაჰესი, წინამძღვრიშვილის ქ. №2). შემოწმებისას დაფიქსირდა სურსათის ეტიკეტირების წესის დარღვევა და ასევე კრიტიკული შეუსაბამობები, რის გამოც ბიზნესოპერატორი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დაჯარიმდა 1000 ლარით და შეუჩერდა საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე.

შპს,,მემა კომპანი“-ს საწამოში 2020 წლის 15 ივლისს სახელმწიფო კონტროლი ისევ განხორციელდა და ბიზნესოპერატორი ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს 74¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაჯარიმდა 600 ლარით.

შპს,,რესპუბლიკა“-ს საწარმოში 2020 წლის 14 ივლისს განხორციელდა სახელმწიფო.კონტროლი (არაგეგმიური ინსპექტირება) ს/კ 406205592, მის. ქ.თბილისი, ორხევი, ახვლედიანის ქ N26ა). ბიზნესოპერატორი ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის,

ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“- ს 74¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაჯარიმდა 600 ლარით და დაევალა უზრუნველყოს ნაღების კარაქის 82.5% ,,რანინა“(დამზ.თარიღი 06.05.20 ვარგ. ვადა 06.08.2020 ბაზარზე განთავსების აღკვეთა ან ბაზარზე უკვე განთავსებულის ამოღება და მიღებული ზომების თაობაზე სააგენტოს დაუყოვნებლივ ინფორმირება

ი.მ „სურენ კირაკოსიანი“-ს (ს/კ 32001000367, ნედლი რძის თერმული დამუშავება), განხორციელდა სახელმწიფო კონტრილი 2020 წლის 14 ივლისს (მისამართი ნინოწმინდა, სოფელი დილიფი). არაგეგმური ინსპექტირების დროს დაჯარიმდა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექს“- ის მუხლი 74¹ ნაწილი პირველის შესაბამისად 200 ლარით, აგრეთვე, გამოვლენილი არაკრიტიკული შეუსაბამობების გამო ბიზნესოპერატორს მიეცა მითითებები და გონივრული ვადა მათ შესასრულებლად.

გიორგი იაკობაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.